თანამედროვე სტანდარტები სასამართლოში



საქართველოს უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, მომზადდა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სასამართლო პროცესზე მხარეებთან და დარბაზთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელ რეკომენდაციებს.

დოკუმენტის მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მოსამართლეები, სამართლისა და კომუნიკაციის ექსპერტები, ფსიქოლოგი.

კვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებულ რეკომენდაციებში აღწერილია მოსამართლის დარბაზთან ურთიერთობის ძირითადი საკითხები. რეკომენდაციები კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტებზეა აგებული და მისი რეალობაში ამოქმედება მოსამართლის იმიჯზე დადებითად აისახება.

რეკომენდაციები მოსამართლეებს ავალდებულებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ დარბაზთან და იყვნენ უფრო მეტად კეთილგანწყობილები მხარეებისა და დარბაზში მყოფი პირების მიმართ.

"მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორი სახით წარსდგება მოსამართლე დარბაზში, არამედ ისიც, თუ როგორ ურთიერთობენ სასამართლო მოხელეები სასამართლოში მისულ ადამიანებთან," - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი.

რატომ გახდა აუცილებელი სხდომის დარბაზში კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტების რეკომენდაციების შემუშავება და რა შეიცვლება მოქალაქეებისთვის? - ამ კითხვებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უპასუხებს:

- სასამართლო პროცესზე მოსამართლის მხრიდან დარბაზთან სწორად და ეფექტურად წარმართული კომუნიკაცია იყო და რჩება ერთ-ერთ იმ პრიორიტეტულ მიმართულებად, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს. ჯერ კიდევ სასამართლო რეფორმის დასაწყისში, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ მიმართულებით გვემუშავა. დავიწყეთ უცხოური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში მოვიწვიეთ გერმანელი სპეციალისტები, რომლებმაც სამი სემინარი ჩაუტარეს ქართველ მოსამართლეებს, რის შემდეგაც ქართული გამოცდილების და ქართული რეალობის გათვალისწინებით, შევქმენით სპეციალური კურსი, ამჯერად უკვე ქართველი ტრენერების მონაწილეობით და ეს კურსი დავნერგეთ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელებისთვის, ანუ მომავალი მოსამართლეებისთვის. მაგრამ, ეს არ იყო საკმარისი, რადგან იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც ახალი წესით, ანუ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსის გავლის შემდეგ არიან დანიშნულები მცირეა. მოსამართლეთა კორპუსის უფრო დიდ ნაწილს წარმოადგენენ ის მოსამართლეები, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის გავლის გარეშე არიან დანიშნულები.

თუმცა, კურსი, რომელიც სკოლაში იყო დანერგილი, უფრო ზოგადი გახლდათ და სასამართლო სხდომის ძირითად ასპექტებს მოიცავდა. ეს კი დღევანდელი გადმოსახედიდან უკვე აღარ არის საკმარისი.

მიმაჩნია, რომ მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ გადაწყვეტილება დაწეროს კვალიფიციურად, არამედ, წარმართოს სხდომა ისე, რომ დარბაზში იგრძნობოდეს სასამართლოს მიმართ კეთილგანწყობა და მხარეებს მიეცეთ შეჯიბრებითობის რეალური შესაძლებლობა. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს და ზუსტად იცის, როგორ მართოს დარბაზი.

მოქალაქეები მოსამართლეს ხედავენ და მას პროფესიულ ჭრილში აღიქვამენ მხოლოდ სასამართლო დარბაზში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სასამართლო დარბაზში იყოს მოსამართლე ყველასთვის მისაბაძი და პატივსაცემი. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სწორად წარმართავს კომუნიკაციას მხარეებთან და აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და სამოსამართლო უნარები. ჩვენ ვატარებთ უამრავ ტრენინგს ამ მიმართულებით, თუმცა გვინდა, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ამ მხრივ სიტუაცია. ვფიქრობ, აღნიშნული რეკომენდაციები, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოსამართლის ყველა შესაძლო ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია დარბაზთან, კიდევ უფრო მეტ კეთილგანწყობას შეუქმნის დარბაზში მყოფ მოქალაქეებს.

ჩვენი მიზანია, რომ მოსამართლემ თავისი ქცევით და კომუნიკაციით დაძაბულობა მოუხსნას მხარეებს და მისცეს მათ საშუალება თანაბრად წარმოაჩინონ საკუთარი პოზიცია, ჰქონდეთ განცდა, რომ სასამართლო მზადაა მოუსმინოს მათ, იგი არის ობიექტური და ამავდროულად, საშუალებას აძლევს მხარეებს, რომ კანონის თანახმად გამოხატონ საკუთარი პოზიცია.

და ზოგადად, სასამართლო გარემო კი არ უნდა თრგუნავდეს ადამიანებს, არამედ უნდა აძლევდეს იმედს, რომ მოსამართლე არის ადამიანი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული არბიტრის უფლებამოსილება.

- ბოლო დროს მედიაში ხშირად შუქდება სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო ტრენინგების თაობაზე, რომლებიც სასამართლოს მოხელეებისთვის ტარდება. რა ტიპის ტრენინგებს ატარებთ და ვისთვის?

- უკვე სამი წელია, ვმუშაობთ სასამართლო მოხელეების ტრენინგებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორი სახით წარსდგება მოსამართლე დარბაზში, არამედ ისიც, თუ როგორ ურთიერთობენ სასამართლო მოხელეები სასამართლოში მისულ ადამიანებთან. პირველი შეხება ხომ ამ მოქალაქეს სწორედ სასამართლოს მისაღებთან, სასამართლოს კანცელარიასთან აქვს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება მისი პირველი შთაბეჭდილება სასამართლოზე. ამის გამო ჩვენ აქტიურად დავიწყეთ და დღესაც ვაგრძელებთ ტრენინგების კურსს სასამართლოს მოხელეებისთვის. უახლოესი ტრენინგი 17 სექტემბერს ჩატარდა დასავლეთ საქართველოში, სასამართლოების იმ თანამშრომელებისათვის, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მოქალაქეებთან - თანაშემწეებისა და სასამართლოს მისაღების თანამშრომლებისთვის.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ შევქმენით სასამართლო მოხელეების მოქალაქეებთან ურთიერთობის გარკვეული წესები. თავდაპირველად, ინგლისელმა ექსპერტებმა რამდენიმე ტრენინგი ჩაუტარეს სასამართლოს მოხელეებს და ამ ტრენინგების და მათი გამოცდილების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა სასამართლო მოხელეების მოქალაქეებთან ურთიერთობის სტანდარტი. რომლის დაცვაც ევალება ყველა თანამშრომელს. ამ რეკომენდაციებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მოქალაქეებთან სწორი კომუნიკაცია სასამართლო მოხელეებისთვის არის მთავარი პრიორიტეტი. საყურადღებოა, რომ ამ სტანდარტის დაცვა მანდატურსაც ევალება, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს მოქალაქეს და მიაწოდოს მას სრულყოფილი ინფორმაცია სასამართლოში მისაღების, კანცელარიის თუ სხდომათა დარბაზების მდებარეობის შესახებ.

ჩვენი მუშაობის შედეგი კი ყველაზე კარგად ჩანს იმ მოქალაქეების შეფასებაში, რომლებსაც შეხება აქვთ სასამართლოსთან. ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, რომელსაც ჩვენთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ატარებდნენ, სასამართლო მომხმარებლების 75 პროცენტი და რამდენიმე სასამართლოში 80 პროცენტიც აცხადებს, რომ ისინი კმაყოფილები არიან სასამართლოს მომსახურებით, სასამართლოს მოხელეების დამოკიდებულებით, საქმეთა განხილვის ვადებით. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეების განცხადებით, ისინი სასამართლოს ენდობიან.

ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით, მოხდა ე.წ. ფარული მომხმარებლის პრინციპის გამოყენება, ანუ მათ გადაამოწმეს, თუ რამდენად რეალური იყო კვლევის შედეგები და არსებული მდგომარეობა. ამ გადამოწმებამ აჩვენა, რომ კვლევები გახლდათ რეალური და სასამართლო მომხმარებლების 75-80 პროცენტი კმაყოფილი იყო სასამართლოს მომსახურებით.

მსგავსი ტიპის კვლევას რამდენიმე კვირაში სასამართლოებში ისევ ჩავატარებთ. ეს შედეგები ჩვენ გვჭირდება იმისათვის, რომ მუდმივად ვიცოდეთ სად გვაქვს პრობლემა და რა მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ ყველაზე მეტად.

ხუთწლიანი პატიმრობა სპილოს ეშვის ქურდობის მცდელობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ თსუ-ს მუზეუმში განთავსებული ზოოლოგიური ექსპონანტების ქურდობაში ბრალდებულ ბორის მღებრიშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში განთავსებული ზოოლოგიური ექსპონანტები, მუზეუმში მიმიდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, დროებით გადატანილი იყო თსუ-ს მე-11 კორპუსის აუდიტორიებში. ამის შესახებ ცნობილი იყო ბორის მღებრიშვილისთვის, რადგან ის, როგორც მუშა, თავად მონაწილეობდა ექსპონანტების გადატანაში.

მღებრიშვილმა, დაუდგენელ პირებთან ერთად, 2011 წლის 3 თებერვალს, გვიან ღამით, თანამზრახველების დახმარებით შეაღწია უნივერსიტეტის კორპუსში, თსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ის დროულად შეამჩნიეს და საპატრულო პოლიცია გამოძახეს. ბორის მღებრიშვილი სარდაფში დაიმალა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ის სარდაფშივე დააკავეს.

დაკავებისას ბორის მღებრიშვილმა განაცხადა, რომ ძლიერ სურდა სპილოს ეშვის ექსპონანტის მოპარვა.

"ღია სასამართლო სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვისას ბორის მღებრიშვილმა ფაქტობრივად აღიარა წარდგენილი ბრალდება და განმარტა, რომ დანაშაული მან ჩაიდინა," - განმარტავენ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მისივე თქმით, საქალაქო სასამართლომ ბორის მღებრიშვილი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ქურდობა ინტერნეტის საშუალებით

ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთია საპროცესო გარიგების საფუძველზე კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერ შეღწევასა და ქურდობაში ბრალდებულ ივანე ხუციანიძისთვის თბილისის საქალაქოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ბრალდებულთან საპროცესო გარიგების საფუძველი, გარდა დანაშაულის აღიარებისა, დაზარალებულებისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის სრული ანაზღაურება გახდა.

საქმის მასალების მიხედვით, ივანე ხუციანიძე დარეგისტრირებული იყო ინტერნეტ საიტ "აჭარაბეთის" ონლაინ-თამაშებზე. მან პერსონალური და სამსახურებრივი კომპიუტერის გამოყენებით, განიზრახა, ამავე საიტზე დარეგისტრირებულ სხვა მომხმარებელთა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, რის შემდეგაც პაროლს "გატეხდა" და მათ პირად ანგარიშებზე არსებულ ფულად თანხებს მიითვისებდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2011 წლის მაისისა და ივნისის თვეში, ივანე ხუციანიძე უკანონოდ შევიდა აღნიშნული საიტის თერთმეტი მომხმარებლის პირად ვებგვერდზე და გვერდის მფლობელების პაროლის "გატეხვის" შემდეგ, მათ ანგარიშზე არსებული თანხა - 3 921 ლარი საკუთარ სახელფასო ანგარიშზე გადარიცხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ივანე ხუციანიძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა, ასევე, სრულად აანაზღაურა დაზარალებულებისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი. გარდა აღიარებისა, წარდგენილი ბრალდება დადასტურდა საქმეში არსებული მტკიცებულებებითაც.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და ივანე ხუციანიძეს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენებით, 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 3 წელი ჩაეთვალა პირობითად. გარდა ამისა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს ქრონიკა
10 ოქტომბერი, 2011 წელი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედია

2010 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოში ამოქმედებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ქვეყნის სამართლებრივი პოლიტიკაში რევოლუციურ გარდაქმნად შეფასდა.
ქვეყანაში მანამდე მოქმედი საპროცესო კოდექსი, რომელიც ინკვიზიციური მოდელზე იყო აგებული, იმ ცივილური - ანგლო-საქსონური მოდელით შეიცვალა, რომელზეც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამართალწარმოებაა აწყობილი. ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების მიერ, სხვა ნოვაციებთან ერთად საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ჩაითვალა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მხოლოდ თბილისში უნდა ამოქმედებულიყო და განეხილა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაული - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თანახმა იქნებიან, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, მარტივად კი, თუ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს და თანახმაა მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს, შედგება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან.

მიუხედავად იმისა, რომ "სამოქალაქო სასამართლოს" ამოქმედება დიდი ხმაურით აღინიშნა, კანონის ამუშავებიდან თერთმეტი თვის თავზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა.

საქმე ისაა, რომ შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის ექვს თვეში აღრიცხულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაულის - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ორი შემთხვევა. შარშან იმ სამ თვეში კი, მას შემდეგ, რაც, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და, შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა, თბილისში ამ კატეგორიის ოთხი დანაშაული დარეგისტრირდა. ანუ, ბოლო ცხრა თვის მანძილზე ამ კატეგორიის 6 დანაშაული მოხდა. თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ყველა შემთხვევაში, ბრალდებულმა დანაშაული აღიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ განიხილავდა.

"იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჯერჯერობით ვერ შედგა, მხოლოდ ის მიზეზი აქვს, რომ თბილისში არ მომხდარა იმ კატეგორიის დანაშაული, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვას ექვემდებარება. ასეთია - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაული.

დავინტერესდი, მოვიძიე სტატისტიკა და აღმოჩნდა, რომ 2009 წლიდან დანაშაულმა საგრძნობლად დაიკლო, მათ შორის, განზრახ მკვლელობის ფაქტებმა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილმა მკვლელობამაც - შარშან, მტელი წლის მანილზე, მხოლოდ თბილისში 10 ამ კატეგორიის მკვლელობა მოხდა.

წელს, ამ კვალიფიკაციით, თბილისში ორი დანაშაული მოხდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბრალდებულებმა აღიარეს დანაშაული და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამიტომაც არ შედგა.

ამიტომაც, არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირება ხელოვნურად ფერხდება. ასე ნამდვილად არ არის. უნდა დაველოდოთ ისეთ შემთხვევას, როცა მოხდება ამ კატეგორიის დანაშაული, ბრალდებული არ აღიარებს დაანაშაულს და ასეთ შემთხვევაში საქმეს ავტომატურად განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო," - შეკითხვაზე თუ რატომ არ ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აქამდე, ასეთი პასუხი გასცა უზენაესი საამართლოს თავმჯდომარე კოტე კულაშვილმა.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, "სამოქალაქო სასამართლო" მუშაობას სავარაუდოდ, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, როცა მის განხილვას დაექვემდებარება ისეთი გავრცელებული და შედარებით მსუბუქი კატეგორიის დანაშაულები, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე - განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და 137-ე - გაუპატიურება. კანონის ეს ნორმა კი, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან შედის ძალაში.

გარდა ამისა, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები.

დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც, საქმეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამ შემთხვევაში თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების განსჯადობის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ნაფიცი მსაჯულები კი შეირჩევიან შესაბამისი ამომრჩევლების სიიდან.

ამ ახალი ინსტიტუტის მიმართ, როგორც საზოგადოებას ისე ჟურნალისტებსაც განსაკუთრებული ინტერესი აქვთ. კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაშუქებასთან დაკავშირებით გარკვეულ აკრძალვებს აწესებს, რომელთა ცოდნაც ჟურნალისტებისთვის სავალდებულოა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი "ვორ დირე", რაც ნაფიცთა შერჩევას ნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა ხდება სასამართლო დარბაზში. ჟურნალისტებს უფლება აქვთ დაესწრონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს.

საქმის სასამართლო პროცესზე განხილვისას ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა.

კანონით ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებული აკრძალვები, ეხება მედიის წარმომადგენლებსაც. საქმის განხილვის პროცესში ნაფიცი მსაჯულისგან ინტერვიუს აღება, მისგან კომენტარის გაკეთებას ან აზრის გამოთქმა აკრძალულია, რადგან, ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირთან, მათ შორის ჟურნალისტთან ურთიერთობა და აზრის გამოთქმა ან საქმის დეტალებზე საუბარი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, "ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან". ეს აკრძალვა მედიასაც ეხება, რადგან მედიით შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ განაწყობს ბრალდების, ან დაცვის მხარის სასარგებლოდ. შესაძლებელია, ასევე მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი.

უმჯობესია ჟურნალისტმა არ გამოაქვეყნოს პროცესის გარეთ მოპოვებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ბრალდებულის ნასამართლობა, წინასწარი გამოძიებისას ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ყველა ის ინფორმაცაია, რომელსაც პროცესზე ვერ მოისმენს ნაფიცი მსაჯული, რადგან მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ საქმის ირგვლივ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე განიხილება, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც ბრალდებულს სამართლიანი და მიუკერძოებელი ვერდიქტი უნდა გამოუტანონ.

თუმცა, ჟურნალისტს უფლება აქვს შეზღუდვების გარეშე დაესწროს პროცესს და გააშუქოს სასამართლო სხდომაზე მიმდინარე მოვლენები.

არსებული კანონმდებლობით, თუ მასმედიით ინტენსიური გაშუქების გამო ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

თუ დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

საერთაშორისო პრაქტიკა

სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც იხილავდა გახმაურებულ საქმეს - შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ.

1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის - მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. საქმის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. კლივლენდის გაზეთებში ყოველდღე იწერებოდა ამ შემთხვევის შესახებ. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდეც მსაჯულთა ვერდიქტზე. სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულები მედიის ზეგავლენისაგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი

სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ და დაადგინა მისი ხელმეორედ გასამართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა - ე.წ. **No Comment-is** წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად - **ე.წ. voire dire;** 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან. სასამართლოს შენობის გარეთ ეს ხდება სასტუმროში, სადაც მათ ამარაგებენ საკვებით.

აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან - არა.

მაგალითისათვის საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასანეიტრალებლად ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. მაგალითისათვის ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქმედებაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს - ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმები ასევე განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1976 წელს განხილული საქმე - ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ შორის - ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ

გავრცელებულიყო პრესის მავნე ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე - იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას.

აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ «საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას." სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად - მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia